

## საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის

ბრძანება №19

2003 წლის 11 ივნისი

ქ.თბილისი

### სპეციალური წოდების მინიჭების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

„სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ)“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სპეციალური წოდების მინიჭების წესის შესახებ“ დებულება (შემდგომში – დებულება).

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე განხორციელდეს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შესაბამისად.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №5470 - ვებგვერდი, 18.02.2016წ.*

### სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტი

ს.პაპაშვილი

### შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.

2. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.

3. საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №5470 - ვებგვერდი, 18.02.2016წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის სპეციალური წოდებების მინიჭების წესის შესახებ

### **მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. ეს დებულება შემუშავებულია „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ“ და „სახელმწიფო სპეციალური ნოდების შესახებ“ საქართველოს კანონების მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ამ დებულებით განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში (შემდგომში – სამსახური) შესაბამისი სახელმწიფო სპეციალური ნოდების (შემდგომში – სპეციალური ნოდება) მინიჭების წესი და პირობები.

3. სამსახურში სპეციალური ნოდება არის სამსახურის მოსამსახურის თანამდებობრივი, სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობის განმსაზღვრელი.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

### **მუხლი 2. სპეციალური ნოდების კატეგორიები**

სამსახურში სპეციალური ნოდები ითოვთ შემდეგ კატეგორიებად:

- ა) უმცროსი სპეციალური ნოდება;
- ბ) საშუალო სპეციალური ნოდება;
- გ) უფროსი სპეციალური ნოდება;
- დ) უმაღლესი სპეციალური ნოდება.

### **მუხლი 3. სპეციალური ნოდები**

სამსახურში დანესებულია შემდეგი სპეციალური ნოდები:

ა) უმცროსი სპეციალური ნოდები – სახელმწიფო დაცვის რიგითი, სახელმწიფო დაცვის უმცროსი სერჟანტი, სახელმწიფო დაცვის სერჟანტი, სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტი, სახელმწიფო დაცვის ზემდეგი;

ბ) საშუალო სპეციალური ნოდები – სახელმწიფო დაცვის უმცროსი ლეიტენანტი, სახელმწიფო დაცვის ლეიტენანტი, სახელმწიფო დაცვის უფროსი ლეიტენანტი, სახელმწიფო დაცვის კაპიტანი;

გ) უფროსი სპეციალური ნოდები – სახელმწიფო დაცვის მაიორი, სახელმწიფო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკი, სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკი;

დ) უმაღლესი სპეციალური ნოდები – სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორი, სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტი, სახელმწიფო დაცვის გენერალ-პოლკოვნიკი.

### **მუხლი 4. სპეციალური ნოდების მინიჭების საერთო მოთხოვნები**

1. სამსახურში სპეციალური ნოდება პირს ენიჭება თანამდებობრივი მდგომარეობის, კვალიფიკაციის და სპეციალური მომზადების, ნამსახურობის წლებისა და პროფესიული დამსახურების შესაბამისად.

2. სამსახურში ხორციელდება მხოლოდ „სახელმწიფო სპეციალური ნოდების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სახელმწიფო დაცვის“ სპეციალური ნოდების მინიჭება.

3. პირებს, რომლებსაც სამსახურში ჩარიცხვამდე ჰქონდათ „სახელმწიფო სპეციალური ნოდების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო სპეციალური ნოდება, სამსახურში მიენიჭებათ შესაბამისი რანგის „სახელმწიფო დაცვის“ სპეციალური ნოდება წელთა ნამსახურობის გათვალისწინებით.

4. სამხედრო ნოდების მქონე პირებს სამსახურში ჩარიცხვისას მიენიჭებათ:

ა) რიგითს, I კლასის რიგითს, კაპრალს, კაპრალ-სპეციალისტს, საზღვაო რიგითს, I კლასის საზღვაო რიგითს, საზღვაო კაპრალს, საზღვაო კაპრალ-სპეციალისტს – „სახელმწიფო დაცვის რიგითის“ სპეციალური წოდება;

ბ) უმცროს სერჟანტს, უმცროს მიჩმანს – „სახელმწიფო დაცვის უმცროსი სერჟანტის“ სპეციალური წოდება;

გ) სერჟანტს, მიჩმანს – „სახელმწიფო დაცვის სერჟანტის“ სპეციალური წოდება;

დ) უფროს სერჟანტს, მასტერ სერჟანტს, უფროს მიჩმანს, მასტერ მიჩმანს – „სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტის“ სპეციალური წოდება;

ე) მთავარ სერჟანტს, მთავარ მიჩმანს – „სახელმწიფო დაცვის ზემდეგის“ სპეციალური წოდება;

ვ) ლეიტენანტს – „სახელმწიფო დაცვის ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება;

ზ) უფროს ლეიტენანტს – „სახელმწიფო დაცვის უფროსი ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება;

თ) კაპიტანს, კაპიტან-ლეიტენანტს – „სახელმწიფო დაცვის კაპიტანის“ სპეციალური წოდება;

ი) მაიორს, III რანგის კაპიტანს – „სახელმწიფო დაცვის მაიორის“ სპეციალური წოდება;

კ) ვიცე-პოლკოვნიკს, II რანგის კაპიტანს – „სახელმწიფო დაცვის ვიცე-პოლკოვნიკის“ სპეციალური წოდება;

ლ) პოლკოვნიკს, I რანგის კაპიტანს – „სახელმწიფო დაცვის პოლკოვნიკის“ სპეციალური წოდება;

მ) ბრიგადის გენერალს, გენერალ-მაიორს, კონტრადმირალს – „სახელმწიფო დაცვის გენერალ-მაიორის“ სპეციალური წოდება;

ნ) გენერალ-ლეიტენანტს, ვიცე-ადმირალს – „სახელმწიფო დაცვის გენერალ-ლეიტენანტის“ სპეციალური წოდება;

ო) არმიის გენერალს, ადმირალს – „სახელმწიფო დაცვის გენერალ-პოლკოვნიკის“ სპეციალური წოდება.

4<sup>1</sup>. სამსახურში ჩარიცხვისას, სამხედრო ან/და სახელმწიფო სპეციალური წოდების არმქონე პირს მიენიჭება „სახელმწიფო დაცვის რიგითის“ სპეციალური წოდება, გარდა ამ დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

5. ყოფილი მოსამსახურე, სამსახურში ხელახლა ჩარიცხვის შემთხვევაში (თუ იგი სამსახურიდან დათხოვნის დროის განმავლობაში არ მსახურობდა შესაბამის უწყებებში სამხედრო ან სახელმწიფო სპეციალური წოდებით), სამსახურს აგრძელებს სამსახურიდან გათავისუფლებამდე მინიჭებული სპეციალური წოდებით.

6. სამსახურის თანამშრომლებს უმცროს, საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ანიჭებს სამსახურის უფროსი, ხოლო უმაღლეს სპეციალურ წოდებებს – საქართველოს პრეზიდენტი.

7. მოსამსახურისთვის მომდევნო უმცროსი სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ პატაკს სამსახურის უფროსს წარუდგენს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფის უფროსი

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.*

## **მუხლი 5. სპეციალური წოდებების მინიჭების თანმიმდევრობა**

1. სპეციალური წოდების მინიჭება ხდება „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და ამ დებულებით დადგენილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია სპეციალური წოდების მინიჭება საფეხურგამოტოვებით, გარდა უმცროსი სპეციალური წოდების

მქონე მოსამსახურისთვის დადგენილი წესით პირველადი საშუალო სპეციალური წოდების მინიჭებისა.

2. მორიგი სპეციალური წოდება მოსამსახურეს მიენიჭება შესაბამისი წინა სპეციალური წოდების გათვალისწინებით, წოდებით სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, თუ მას უკავია თანამდებობა, რომლისთვისაც შტატით გათვალისწინებულია მისანიჭებელი სპეციალური წოდების თანაბარი ან უფრო მაღალი სპეციალური წოდება.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.*

### **მუხლი 6. უმცროსი და საშუალო პირველადი სპეციალური წოდებების მინიჭება**

1. საკონტრაქტო სამსახურში ჩარიცხულ მოსამსახურეებს, დადგენილი წესით ენიჭებათ უმცროსი სპეციალური წოდებები „სახელმწიფო დაცვის უფროსი სერჟანტის“ ჩათვლით, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2. პირველადი საშუალო სპეციალური წოდება „სახელმწიფო დაცვის უმცროსი ლეიტენანტი“:

ა) მიენიჭება მოსამსახურეს, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური თეორიულ-პრაქტიკული სასწავლო კურსი (შემდგომში – სასწავლო კურსი) და აქვს უმაღლესი აკადემიური განათლება, გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ბ) შეიძლება მიენიჭოს უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირს სამსახურში ჩარიცხვისას, რომელიც შესარჩევი და გამოსაცდელი ტესტირების შედეგების საფუძველზე ინიშნება კადრის მოსამსახურის შესაბამის თანამდებობაზე;

გ) შეიძლება მიენიჭოს პირს, რომელიც სამხედრო ვალდებულებას იხდის საკონტრაქტო სამსახურის სახით შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე;

3. მოსამსახურე სასწავლო კურსებზე დაიშვება მხოლოდ ერთხელ. სასწავლო კურსზე მოსამსახურე ხელმეორედ დაიშვება იმ შემთხვევებში თუ წინა სასწავლო კურსი ვერ გაიარა ან სრულად ვერ გაიარა შემდეგი საპატიო მიზეზების გამო:

ა) სამსახურებრივ მივლინებაში გაგზავნა;

ბ) ოჯახური პირობების გამო;

გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო;

4. პირველადი საშუალო სპეციალური წოდება „სახელმწიფო დაცვის უმცროსი ლეიტენანტი“, მოსამსახურეს შეიძლება მიენიჭოს სამსახურის უფროსის მიერ მისი პროფესიული დამსახურების შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე.

5. მორიგი უმცროსი ან/და პირველადი საშუალო სპეციალური წოდება არ მიენიჭება მოსამსახურეს, რომელსაც დაკისრებული აქვს დისციპლინური სახდელი.

6. სასწავლო კურსი ინიშნება წელიწადში ერთხელ მაინც სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) წარდგინებით, სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით), რომლითაც განისაზღვრება კურსის ხანგრძლივობა და პროგრამა, კურსზე წარსადგენ მოსამსახურეთა დადგენილი წესით შერჩეული შემადგენლობა, აგრეთვე დროებითი საგამოცდო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის რეჟიმი. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს შესაბამის ბრძანებაში გასათვალისწინებლად და დასამტკიცებლად წარედგინება სასწავლო კურსის პროგრამა და შერჩეულ მოსამსახურეთა დაზუსტებული სია. პროგრამას შეიმუშავებს და ბრძანების საფუძველზე კურსებს ატარებს სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) სასწავლო ცენტრი (მთავარი სამმართველო).

7. სასწავლო კურსების ჩატარების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველოს მეშვეობით ახორციელებს სამსახურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი), რომელიც სასწავლო კურსის დაწყებამდე არაუგვიანეს ორი კვირისა სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებს უგზავნის წერილობით მიმართევებს განსაზღვრული (სამსახურის უფროსთან შეთანხმებული) რაოდენობის ფარგლებში სასწავლო კურსზე თანამშრომელთა დაშვების შესახებ პატაკების სამსახურის უფროსისათვის წარდგენის თაობაზე. პატაკები განსახილველად და კანდიდატურების შესაბამისობის შესამოწმებლად ეწერება სამსახურის ადმინისტრაციის ადამიანური რესურსების მართვის მთავარ სამმართველოს.

8. სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველო ამოწმებს სასწავლო კურსზე წარდგენილი პირების პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით;

9. სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელები ნამსახურობის ვადის, სპეციალური მომზადების, დამსახურებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით, თანმიმდევრულობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით, მათდამი დაქვემდებარებულ ქვედანაყოფებში შეარჩევენ უმაღლესი განათლების მქონე მოსამსახურეებს და შესაბამის პატაკებს წარმოადგენენ სასწავლო კურსის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა. სასწავლო კურსზე წარდგენილი უნდა იქნეს თანამშრომელთა ოპტიმალური რაოდენობა სამსახურის სტრუქტურულ დანაყოფებში შესაბამისი თანამდებობების არსებული ან/და მოსალოდნელი ვაკანსიების გონივრული გაანგარიშებით. კურსზე დასაშვებ კანდიდატთა სიას სამსახურის ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) აზუსტებს ამ მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტების მიხედვით შესაბამისობის შემოწმებისა და სამსახურის უფროსთან შეთანხმების შემდეგ, რის შემდეგაც სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტს უგზავნის ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.

10. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული წესით გადიან გამოსაცდელ ტესტირებას, აბარებენ შესაბამის ჩათვლებსა და ნორმატივებს.

11. დროებითი საგამოცდო კომისია კურსდამთავრებულის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის და მომზადების დონეს აფასებს ტესტირების, ჩათვლებისა და ნორმატივების ჩაბარების შედეგების საფუძველზე. დადებითი შეფასების შემთხვევაში გაიცემა კურსის გავლის დამადასტურებელი მონშობა, რომლის ფორმა მტკიცდება სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. მონშობა დაერთვის შესაბამისი პირის პირად საქმეს. სამსახურის სტრუქტურული დანაყოფების ხელმძღვანელებმა, სასწავლო კურსის დასრულებიდან შესაძლო მოკლე ვადაში უნდა უზრუნველყონ დადებითი შედეგით კურსდამთავრებულთა გადანაწილება კადრის მოსამსახურის შესაბამის თანამდებობებზე.

12. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში ჩათვლებისა და ნორმატივების ჩასაბარებლად განმეორებით გასვლა დასაშვებია მხოლოდ ერთხელ

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №5470 - ვებგვერდი, 18.02.2016წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება №15791 - ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

## **მუხლი 7. სპეციალური წოდების მისანიჭებლად დადგენილი ვადები**

1. მორიგი სპეციალური წოდების მისაღებად, გარდა შესაბამისი თანამდებობისა, დადგენილია სპეციალური წოდებით სამსახურის შემდეგი ვადები:

ა) საშუალო სპეციალური წოდებისთვის:

ა.ა. უმცროსი ლეიტენანტი – 1 წელი;

ა.ბ. ლეიტენანტი – 2 წელი;

ა.გ. უფროსი ლეიტენანტი – 3 წელი;

ა.დ. კაპიტანი – 3 წელი;

ბ) უფროსი სპეციალური წოდებისთვის:

ბ.ა. მაიორი – 4 წელი;

ბ.ბ. ვიცე-პოლკოვნიკი – 5 წელი;

ბ.გ. (ამოღებულია - 17.02.2016; №5470).

2. უმცროსი და უმაღლესი სპეციალური წოდებების მისანიჭებლად სამსახურის გავლის ვადა არ განისაზღვრება.

3. სპეციალური წოდებით სამსახურის ვადის ათვლა იწყება ამ წოდების მინიჭების შესახებ ბრძანების ხელმოწერის დღიდან.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2016 წლის 17 თებერვლის ბრძანება №5470 - ვებგვერდი, 18.02.2016წ.*

## **მუხლი 8. სპეციალური წოდების ვადამდე მინიჭება**

1. მოსამსახურეს ვადამდე სპეციალური წოდება ენიჭება:

ა) ატესტაციის შედეგების მიხედვით;

ბ) განსაკუთრებული დამსახურებისათვის;

გ) კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, წახალისების წესით.

2. მოსამსახურეებს საშუალო და უფროს სპეციალურ წოდებებს ვადამდე ანიჭებს სამსახურის უფროსი.

3. (ამოღებულია - 26.04.2011, №415)

4. მოსამსახურეს, მოქმედი დისციპლინური სახდელის არსებობის შემთხვევაში, სპეციალური წოდება ვადამდე არ მიენიჭება.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.*

## **მუხლი 9. სპეციალური წოდების ჩამორთმევა, ერთი საფეხურით ჩამოქვეითება და წოდების აღდგენა**

1. სპეციალური წოდების ჩამორთმევის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონით „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“, ხოლო სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითებისა და წოდების აღდგენის წესი – სამსახურის დისციპლინური წესდებით.

2. სპეციალური წოდების ჩამორთმევა და ერთი საფეხურით ჩამოქვეითება, როგორც დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოთენების, აგრეთვე წოდების აღდგენის უფლება, გააჩნია მხოლოდ სამსახურის უფროსს.

3. ჩამოქვეითებული სპეციალური წოდებით ნამსახურობის ვადა აღდგენილი წოდებით ნამსახურობის ვადაში არ ჩაითვლება.

4. პირს, რომელიც სამხედრო ვალდებულებას იხდის სამსახურის საკონტრაქტო სამსახურში, საკუთარი ინიციატივით (თვითნებურად) ან ბრალეულობით კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სამსახურიდან დაითხოვენ მინიჭებული სპეციალური წოდების ჩამორთმევით.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 18 ოქტომბრის ბრძანება №1197 - ვებგვერდი, 24.10.2011წ.*

#### **მუხლი 10. სპეციალური წოდების მინიჭებაზე კონტროლი**

სპეციალური წოდების მინიჭების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას, სპეციალური წოდებების თანმიმდევრულ და დროულ მინიჭებაზე, აგრეთვე შესაბამისი სასწავლო კურსის გავლის შემდეგ მოსამსახურისთვის პირველადი საშუალო სპეციალური წოდების მინიჭებისათვის აუცილებელ თანამდებობრივ გადაადგილებაზე კონტროლს და სამსახურის უფროსის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას და დასამტკიცებლად წარდგენას ახორციელებს სამსახურის სამსახურის ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) ადამიანური რესურსების მართვის მთავარი სამმართველო.

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2011 წლის 26 აპრილის ბრძანება №415 - ვებგვერდი, 04.05.2011წ.*

*საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის 2020 წლის 25 ივნისის ბრძანება №15791 - ვებგვერდი, 26.06.2020წ.*

#### **მუხლი 11. სოციალური გარანტიები**

1. დაუშვებელია სპეციალური წოდების მინიჭების უსაფუძვლო დაგვიანება.
2. სპეციალური წოდებისათვის გათვალისწინებული ხელფასის დანამატი, სამსახურებრივი და სოციალური უზრუნველყოფის სხვა გარანტიები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

#### **მუხლი 12. დასკვნითი დებულებანი**

ამ დებულების გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება სამსახურის უფროსის ბრძანებით.